

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

**პავლე ჭავჭავაძე - რუსეთის ბოლშევიკური ხელისუფლების  
მმართველობითი პოლიტიკის ამსახველი  
ქართველი ემიგრანტი მწერალი**

**მონიკა ჯიტჩონაია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქუთაისი, საქართველო  
Jitchonaia.monika@atsu.edu.ge

წინამდებარე სტატია შეეხება ამერიკაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტ მწერალს პავლე ჭავჭავაძესა და მის შემოქმედებას. ნაწარმოები სახელწოდებით „მარია ავინოვი - სალოცავ ბილიკზე ჯოჯოხეთიდან“ ფაქტობრივად მემუარული ხასიათის ნაშრომია. მეგობრის მიერ წლების განმავლობაში დაგროვებული ისტორიული ღირებულების მქონე ჩანაწერები ქართველმა ემიგრანტმა ერთ მთლიანობად შეკრა და ნამდვილ, ლიტერატურულ შედეგად აქცია. ჩვენი ინტერესი ხსენებული წიგნისადმი განაპირობა უმთავრესად იმ გარემოებამ, რომ მასში პირდაპირ არის მხილებული ეპოქალური მანკიერება. ბოლშევიკური ხელისუფლების მზაკვრულმა პოლიტიკამ, რომელიც იმ პერიოდისათვის არაერთი ემიგრანტის სამშობლოდან გადახვეწის მიზეზი გახდა, რუსი არისტოკრატების ბედიც განსაზღვრა.

**საკვანძო სიტყვები:** ემიგრანტი, არისტოკრატია, სამშობლო.

საბჭოთა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ოკუპაციისა და გასაბჭოების შემდგომ პერიოდში არაერთ ქართველ მამულიშვილს, მათ შორის მწერალსაც, მოუხდა იძულებითი გადახვეწა სამშობლოდან უცხოეთში (მემმარიაშვილი: 2021) ერთ-ერთი მათგანი იყო ცნობილი პროზაიკოსი პავლე ჭავჭავაძე (1899-1971), რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მუდმივ საცხოვრებლად 1926 წელს გაემგზავრა. იგი გარკვეული ხანი მუშაობდა წითელი ჯვრის ორგანიზაციაში და შესაძლებლობა ჰქონდა ენახა მსოფლიოს არაერთი ქვეყანა. პროფესორ რუსუდან დაუშვილის ინფორმაციით, პავლე ჭავჭავაძე, მართალია, ძალიან ახალგაზრდულ ასაკში აღმოჩნდა ემიგრაციაში, მაგრამ ქართული ენა არ დავიწყებია (დაუშვილი 2014). ის მეგობრობდა ქართველ ემიგრანტებთან, რომლებიც ხშირად იკრიბებოდნენ ნიუ-იორკში. იგი იყო ქართული სათვისტომოს ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიური წევრი ამავე ქალაქში.

## მ. ჯიჭონაია

---

მეორე მსოფლიო ომის დროს პავლე ჭავჭავაძე მსახურობდა არმიაში. სამწერლო მოღვაწეობა მან მოგვიანებით დაიწყო. მისი პირველი რომანი „ოჯახური ალბომი“ (1949) ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებია. რომანის ერთ-ერთ თავში მწერალი აღწერს წინანდალში გატარებულ დღეებს. მისმა მეორე რომანმა - „მთები ალაპისა“ (1952) მკითხველთა ფართო წრის დიდი ინტერესი გამოიწვია. მასში აღწერილია შამილის თავდასხმა დავით ჭავჭავაძის ოჯახზე. პ. ჭავჭავაძეს ასევე ეკუთვნის რომანი „მამა ბიკენტი“ (1955).

1960-იან წლებში, მწერალ ვლადიმირ ნაბოკოვის რჩევით, პავლემ რუსულიდან ინგლისურად თარგმნა სტალინის ქალიშვილის - სვეტლანა ალილუევას წიგნი „მხოლოდ ერთი წელი“ (ებრალიძე 2013: 9).

პავლე ჭავჭავაძის შესახებ ცნობები მრავლად მოიპოვება უცხოურ წყაროებში. კერძოდ, ისეთ გამოცემებში, როგორებიცაა: „ნიუ-იორკ ტაიმზი“, „ნიუ-იორკერი“ (ამერიკული ჟურნალი, რომელშიც იბეჭდება კრიტიკული წერილები, ესეები, საგამომძიებლო რეპორტაჟები, პროზაული და პოეტური ტექსტები და ა. შ.) და სხვა პერიოდული გამოცემები (Hellman 1949).

როგორც ცნობილია, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის ერთ-ერთი მთავარი მსხვერპლი გახდა რუსული არისტოკრატია, რომლის ბევრმა წარმომადგენელმაც 1917 წელს ან სამუდამოდ დატოვა რუსეთი, ანდა რეპრესიების შედეგად დაიღუპა. ხსენებული პერიოდი საკმაოდ რთული აღმოჩნდა მათთვის, ვინც ქვეყანაში დარჩა. ახალი რეჟიმი მტრებად აღიქვამდა არისტოკრატიულ კლასს. აქედან გამომდინარე, ადამიანები მხოლოდ გადარჩენაზე ფიქრობდნენ, ხოლო მათ, რომელთაც ემიგრაციის გზა აირჩიეს, სწამდათ, რომ მალევე დაუბრუნდებოდნენ სამშობლოს (Ильин 2021).

„მარია ავინოვი - სალოცავ ბილიკზე ჯოჯოხეთიდან“ ამის ნათელი დადასტურებაა. მემუარული ხასიათის ამ მხატვრულ-დოკუმენტურ თხზულებაში ღრმად შთამბეჭდავი ფორმითაა მოთხრობილი ტრაგიკული ეპიზოდები რუსეთის არისტოკრატიული წრის წარმომადგენლის - მარია ავინოვისა და მისი მეუღლის - ნიკას ცხოვრებიდან. ნაწარმოებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მწერალი იმავდროულად საბჭოთა პოლიტიკის შავბნელ მხარეებსაც ასახავს ფართოდ განზოგადებული ფორმით.

„მარია ავინოვი“ 1968 წელს გამოიცა. ბიოგრაფიული ხასიათის ეს ნაწარმოები წარუშლელ კვალს ტოვებს მკითხველის ცნობიერებაში. ამ ჩანაწერების გადაცემა პავლე ჭავჭავაძისათვის მისივე ავტორის სურვილით მოხდა. ამაზე წიგნის წინასიტყვაობაც მიუთითებს (Chavchavadze 1968:10). კერძოდ, წინასიტყვაობაში მოცემულია, რომ მარია

ავინოვი მადლობას უბდის თავის მეგობარს - ჯეინ ნიკერსონს, რადგან მან არ დაიშურა ძალისხმევა, რათა მოემზადებინა მასალები აღნიშნული წიგნისათვის. ავინოვი იმასაც მიუთითებდა, რომ ეს საკმაოდ შრომატევად საქმეს წარმოადგენდა. მისი ხაზგასმით, „რომ არა მისი მონდომება, ეს მოგონებები ვერასდროს მიიპყრობდნენ პავლე ჭავჭავაძის ყურადღებას და შესაბამისად, წიგნიც არ იარსებებდა“ (Chavchavadze 1968:10).

ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ, რომ „პავლე ჭავჭავაძის თანაავტორობით გამოვიდა წიგნი, „მარია ავინოვი - სალოცავ ბილიკზე ჯოჯოხეთიდან“. ამავე სტატიის ავტორი იქვე იმასაც მიუთითებს, რომ „თვით პავლე ჭავჭავაძემ ძალიან ბევრი იმუშავა მარია ავინოვთან, რომ ეს მემუარები დაწერილიყო“ (პირველი 2021); მარია ავინოვი წიგნის წინასიტყვაობაზე დაყრდნობით იმასაც აღნიშნავს, რომ პ. ჭავჭავაძის მიერ ზემოხსენებული წიგნის შესაქმნელად გაღებული მწერლური ენერგია მისთვის უფლის მიერ ბომბებულ საჩუქარს წარმოადგენდა. მისი ეს სიტყვები გვაფიქრებინებს, რომ მას და პავლეს ერთმანეთთან ახლო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდათ, რამაც ემიგრანტ მწერალს შესაძლებლობა მისცა შეექმნა მარია ავინოვის ნამდვილი სახე და გაეზიარებინა მკითხველისათვის მისი ცხოვრებისეული გამოცდილება.

ნაწარმოების თარგმანი ქართულ ენაზე ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება. მასში გადმოცემული ისტორია დღესაც ამერიკელ მკითხველთა ფართო წრის დიდ ინტერესს იწვევს.

მარიას ცხოვრებისეული ისტორია დრამატიზმით აღსავსეა. მისი მეუღლე - ნიკა პატრიოტიზმით გულანთებული პიროვნებაა, ვისაც საკუთარ ღირსებად მიაჩნია ქვეყნის სადარაჯოზე დადგომა მაშინ, როდესაც ეს ქვეყანას ყველაზე მეტად სჭირდება. ბიოგრაფიული ხასიათის ნაშრომი ნამდვილად შთამაგონებელია. მარიას სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გადარჩენისათვის ბრძოლას დაეთმო და ლენინ-სტალინის ეპოქას დაემთხვა.

რუსეთში მომხდარი რევოლუციის შემდეგ მარია და მისი მეუღლე „ჩეკას“ ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ნიკა რვაჯერ დააპატიმრეს. მარია დეპორტაციის გზით მოხვდა შუა აზიაში.

ისეთი მოვლენების შემდგომ, როგორებიც იყო 1917 წლის რუსეთის რევოლუცია, ქაოსური ბოლშევიკური ხელისუფლების ბატონობის პირობებში ცხოვრება, სამჯერ დაპატიმრება და ციმბირში ძალდატანებით გაგზავნა, ალბათ ცოტა თუ გადარჩებოდა, მაგრამ მარიამ შემლო გადარჩენილიყო თავისი სულიერი თუ გონებრივი ძალის წყალობით, რაშიც უსათუოდ უფლის ხელიც ერია. ამ მოვლენებს გერმანელთა ბატონობის ქვეშ ცხოვრებაც დაერთო, რასაც შედეგად მოჰყვა ავინოვის

## მ. ჯიჭონაია

---

გაქცევა მათ მიერვე ოკუპირებულ საფრანგეთში. შემდგომ კი მან უკვე ამერიკას მიაშურა, სადაც ლონგ-აილენდზე დაიდო ბინა.

ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი მემუარული ჟანრის ეს ნაწარმოები რევოლუციამდელი პერიოდის რუსეთში ცხოვრების ცოცხალ სურათს გვიხატავს. მარია ავინოვი იყო ერთ-ერთი რუსი არისტოკრატთაგანი, ვინც სასწაულებრივად გადაურჩა ჯერ რევოლუციას, შემდეგ - ლენინისა და სტალინის რისხვას, ბოლოს კი გერმანელებს.

ნაწარმოებში ისტორიული სიმართლით არის აღწერილი ანტიკომუნისტების სახელით ბრალდებულ ადამიანთა სიკვდილით დასჯის მაგალითები სტალინური ხელისუფლების მიერ. საბედნიეროდ, მარია ბედნიერი შემთხვევის წყალობით გადაურჩა ამ განსაცდელს.

ბოლშევიზმის მსახვრალი ხელი რომ ხელოვნების ყველა მიმართულებას მეტ-ნაკლებად შეეხო, ამას წიგნში ნათლად ვხედავთ. ის გაუსწორდა თავისუფალ აზროვნებას. ლიტერატურა, რომელიც კოლოსალურ სიმაღლეებს აღწევდა, გახდა უფერული. ამას მარია ავინოვი თავად აღნიშნავს. ხელისუფლების ყურადღების მიღმა არ რჩებოდა არცერთი შემოქმედი, ვინც ბედავდა პარტიული ინტერესებისათვის გვერდის ავლას. მხატვრები იძულებულნი იყვნენ თავიანთი ნიჭი მიემღვნათ პროპაგანდისტული იდეებისათვის, სადაც პიროვნული შთაგონებისთვის ადგილი აღარჩებოდა. შემოქმედთა არჩევანი აშკარა იყო, - თანამშრომლობა პარტიულ იდეებთან ან უარის თქმა რაიმე ღირებულის შექმნაზე. როგორც მარია აღნიშნავს, რუსი ხელოვანები ხსენებულ პერიოდში მეტისმეტად დაიჩაგრნენ. ასე, მაგალითად, ნესტეროვისა და ვასნეცოვის ნახატების გამოფენა აიკრძალა მოსკოვისა და ლენინგრადის გალერეებში იმ მიზეზით, თითქოს ნახატები წარმოაჩენდნენ „ბურჟუაზიულ იდეალებს.“ რამდენიმე ნამუშევარი გადაურჩა განადგურებას სწორედ იმ ადამიანთა პროტესტის წყალობით, რომლებიც რისკის ქვეშ აყენებდნენ თავიანთ სიცოცხლეს (Chavchavadze 1968:100).

ამავე თვალსაზრისით, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მოვიყვანოთ მაგალითად თუნდაც ის ტენდენცია, რომლის შესახებაც პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი თავის ნაშრომში „ქართული ემიგრანტული მწერლობა,“ მიუთითებს: „მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში მოღვაწე ჩვენი მწერლების ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლას საბჭოთა პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი მიემღვნა, იმჟამინდელი იდეოლოგიური პოლიტიკა მკვლევრებს იძულებულს ხდიდა, მათი მოღვაწეობის ცალკეული მხარეები კონიუნქტურულად შეეფასებინათ და ბოლომდე არ აეხადათ ფარდა მათი ნამდვილი ეროვნული გულისთქმისათვის“ (ნიკოლეიშვილი 2006:8).

პავლე ჭავჭავაძის მოცემული წიგნის ღირებულებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში მხილებულია ეპოქისა და ხელისუფალთა მანკიერი მხარეები. მით უფრო, თუკი ავტორის წარმომავლობას გავითვალისწინებთ, ნაშრომის გაცნობა და გაანალიზება ჩვენში ორმაგად დიდ ინტერესს იწვევს.

ერთ-ერთი უცხოური წყარო გვაწვდის ინფორმაციას მარია ავინოვის - იგივე მარია ნოვოსილცევას - შესახებ. წყარო გადმოგვცემს, რომ ის დაიბადა 1882 წლის 17 მაისს. ცხოვრობდა მშობლებთან ერთად მოსკოვში. 1906 წლის 14 მაისს იგი ცოლად შეირთო ნიკოლოზ ავინოვმა (1881-1937), რომელიც მუშაობდა პოლიტექნიკურ მუზეუმში. 1937 წლის ოცდაექვსიანვარს ის დააკავეს, იმავე წლის ხუთ დეკემბერს კი მოკლეს.

ზემოხსენებულ წყაროში ვკითხულობთ: „1968 წელს მარია ავინოვმა პავლე ჭავჭავაძესთან ერთად წიგნად გამოსცა თავისი მოგონებები ინგლისურ ენაზე. მას შვილი არ ჰყოლია. გარდაიცვალა 1975 წელს, ნიუ-იორკში“ (История 2021).

განხილული ტექსტიდან თვალნათლივ ჩანს, რომ პავლე ჭავჭავაძის შემოქმედება, როგორც მხატვრულ-დოკუმენტური სიმართლით ამსახველი მასალა საბჭოთა პერიოდის ყოფისა, დიდ ყურადღებას იმსახურებს. ვფიქრობთ, სწორედ ეს გახდა საფუძველი იმ დიდი ინტერესისა ზემოხსენებული ნაშრომისადმი, რაც უცხოელ მკითხველთა შორის შეინიშნება. არანაკლებ საინტერესო იქნებოდა ნაწარმოების გაცნობა ქართველი მკითხველისათვის მშობლიურ ენაზე, ვინაიდან მასში თვალნათლივ ჩანს ეპოქალური მოვლენების არაერთი მანკიერი მხარე, რომელიც საქართველოს საბჭოთა პერიოდში ყველაზე მტკივნეულად შეეხო. აქედან გამომდინარე, ცხადი ხდება ის გარემოება, რომ პავლე ჭავჭავაძის წიგნში „მარია ავინოვი - სალოცავ ბილიკზე ჯოჯოხეთიდან“, ნაჩვენებია ჩვენივე ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ქართველები, რომლებმაც ღრმა ჭრილობა მიაყენეს არა მხოლოდ ქართულ სულიერ და მატერიალურ კულტურას, არამედ ფეხქვეშ გათელეს არაერთი ადამიანის ღირებულებები და წარსულის ფასეულობებიც.

### ლიტერატურა

დაუშვილი, რუსუდან. 2014. *ქართული ემიგრაცია ამერიკაში*. თბილისი. მეძმარიაშვილი, ელენე. 2021. „მესამე ტალღის ქართველი იმიგრანტი ქალები აშშ-ში: ამერიკანიზაციის პრობლემა“, სპეკალი. მის.: [spekali.tsu.ge](http://spekali.tsu.ge). მოძიებულია 26.04.2021.

ნიკოლეიშვილი, ავთანდილ. 2006. *ქართული ემიგრანტული მწერლობა*. ქუთაისი: ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

## მ. ჯიჭონაია

---

პირველი, მ. 2021. „ამერიკელი მწერალი ჭავჭავაძე“, მის.: kutaisipost.ge. განთავსებულია 21.11.2019; მოდიებულია 03.03.2021.

Chavchavadze, Paul. 1968. *Marie Avinov, Pilgrimage through Hell*; Prentice-Hall, Inc., Englewood Cliffs, N.J.

Geoffrey T. Hellman. 1949. „Protean Prince“. *the New Yorker*, 1949.

Wellfleet, Mass. 1971. “Paul Chavchavadze Dies at 72; Translated Book by Alliluyeva”, the New York Times, 1971.

*История рода Новосильцевых*. 2021. Часть 6. მის.: baronet65.livejournal.com. განთავსებულია 30.08.2020; მოდიებულია 03.03.2021.

Ильин. А. 2021. *Дворяне и революция: непростая судьба запрещенного сословия*. მის.: bbc.com. განთავსებულია 10.10.2017; მოდიებულია 03.03.2021.

## Literature and Literary Theory

### Paul Chavchavadze – Georgian emigrant writer reflecting the Russian Bolshevik policy

**Monika Jitchonaia**

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

Jitchonaia.monika@atsu.edu.ge

*This article relates to a Georgian emigrant writer – Paul Chavchavadze and his creativity in America. The work entitled “Marie Avinov – Pilgrimage through hell”, is in fact a memoir. The notes of historical value were gathered and turned into a real, literary masterpiece. Our interest towards the book was mainly caused by the fact that it directly reveals the epoch viciousness. The policies of a Bolshevik government became the reason for the deportation of many emigrants. The fate of the Russian aristocrats was also determined by that policy.*

**Keywords:** Emigrant, Aristocrat, Homeland.

After the occupation of our country by Soviet Russia and the Soviet Union, many Georgian patriots, including the writers, had to leave their homeland forcibly. One of them was the famous prose writer - Paul Chavchavadze (1899-1971), who left for permanent residence in the United States in 1926. He worked for some time for the Red Cross and had the opportunity to see many countries

of the world. According to Professor Rusudan Daushvili, although Paul found himself in emigration at a very young age, he did not forget the Georgian language (Daushvili 2014). He befriended Georgian emigrants, who often gathered in New York. He was one of the founders and active member of the Georgian community (association).

Paul Chavchavadze served in the army during the Second World War. He later began writing. His first novel – “Family Album” (1949) is an autobiographical work. In one of the chapters of the novel, the writer describes the days spent in Tsinandali. His second novel, Mountains of Allah (1952), aroused great interest among a wide range of readers. It describes Shamil’s attack on David Chavchavadze’s family. P. Chavchavadze also owns the novel “Father Vikenty” (1955).

In the 1960s, on the advice of writer – Vladimir Nabokov, Paul translated the book “Only One Year” by Svetlana Alliluyeva (the daughter of Stalin) from Russian into English (Ebralidze 2013:9).

Information about Paul Chavchavadze can be found in many foreign sources. In particular, in publications such as: “The New York Times”, “The New Yorker” (American Journal of Critical Letters, Essays, Investigative Reports, Prose and Poetic Texts). Etc (Hellman 1949).

As it is known, one of the main victims of the October Revolution of 1917 became the Russian aristocracy, many of whom in 1917 either left Russia or died as a result of repression. The mentioned period turned out to be quite difficult for those who stayed in the country. The new regime perceived the aristocratic class as enemies. Therefore, people thought only of survival, while those who chose the path of emigration believed that soon they would return to their homeland (bbc.com; 03.03.2021).

“Marie Avinov: Pilgrimage through hell” is a clear proof of this. The tragic episodes of the life of the representative of Russian aristocracy – Marie and her husband Nika Avinov is narrated in a deeply impressive way in this memoir-style fiction. The interest towards the work is determined by the fact that the writer at the same time reflects the dark sides of the Soviet politics in a broadly generalized form.

“Marie Avinov” was published in 1968. The work definitely impresses readers. These notes were handed over to Paul Chavchavadze at the request of his author. The foreword to the book indicates this (Chavchavadze 1968: 10). In particular, Marie Avinov thanks her friend Jane Nickerson as he spared no effort to prepare the materials for the mentioned book. “Without this groundwork I might never have brought these memoirs to the attention of Paul Chavchavadze, and this book

## მ. ჯიქონია

---

might never have been written.” Says Marie Avinov (Chavchavadze 1968:10).

One of the articles mentions that the book “Marie Avinov-Pilgrimage through hell”, was co-authored by Paul Chavchavadze. The author of the mentioned article also tells that Paul made great effort while working on these memoirs together with Marie (kutaisipost.ge. 04.03.2021); Avinov considers that Paul’s effort became the real gift for her. According to these words, we can conclude that they were close friends. So it was not difficult for him to show the real character of Marie Avinov and to share her life experience with the readers.

The book is not translated into Georgian yet. The story itself attracts the wide range of American readers.

Marie’s life story is dramatic. Her husband – Nika is a patriot who considers it to be his duty to protect his country, when his homeland needs this most of all. The work of a biographical nature is inspirational. Most of Marie’s life was devoted to the struggle for survival and coincided with the Lenin-Stalin era.

After the Russian Revolution, Marie and Nika were under the supervision of “Cheka”. Nika was arrested eight times. Marie was deported to Central Asia.

The impressive memoir genre provides a vivid picture of life in pre-revolutionary Russia. Marie Avinov was one of the Russian aristocrats, who miraculously survived the revolution at first, then the wrath of Lenin and Stalin and finally the Germans.

The work describes examples of the death penalty for people accused of being anti-communists by the Stalinist government. Fortunately, Marie survived this ordeal thanks to a happy accident.

The value of Paul Chavchavadze’s book lies in the fact that it exposes the vices of the epoch and the authorities.